

დღე

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

9 მაისი ორშაბათი 2011
№ 106 (13403) ფასი 80 თეთრი

ინტერნეტ-ბოთანიზატი
www.liderbeti.com
ეროვნული
ბიზნისოთქმა
LIDERBETI
ლიჯი ინტერნეტ სივსაუმი

პარდობისთვისა თუ გიჟობისთვისა? ეს კვირა ბასაკვირალი

საბარდობის
ბიზნისოთქმა
ეროვნული
ბიზნისოთქმა



ქალის გაილასა!

15



სოფანს და,
გავიგებთ
იხივულ
მეყრულს

თუ ზაიშია,
ზანტაფონში იყოს

2-3

გუშინ, ვიტ-ჯორჯია-სპარტაკი 1:1



ვილანგა
სკუდებო
გაინაღდა

7

გურამ დოღენჯაშვილის ფოტო



საჩუქრის ახალგაზრდობა



საჩუქრის ახალგაზრდობა

10 წუთი, რომელიც ზიანი ფოთიდან ზესტაფონში გადაიტანა



მატჩის მერე ზესტაფონებმა ტელეფონები მოიმაჯვეს, მაგრამ...

Table with match statistics for 08.05. ფოთი. ფაზისი. 700 მაყურებელი. Columns for goals, assists, cards, etc.

მს. შემდეგ, რაც მალხაზ ბუქელიძე ილიამ დათვრების ჩასტენა, იყო შანსი, რომ „ზესტაფონი“ ჩემპიონობას ფოთშივე იზეიმებდა — იმ დროს ხომ იმერელთა კონკურენტი „დინამო“ სამტრედილაში აგებდა. თუმცა შეხვედრის დასრულებამდე 10 წუთი იყო დარჩენილი (ფოთში შეხვედრა 5 წუთით ადრე, ხოლო სამტრედილაში ამდენით გვიან დაწყებული) და ამ დროს განმარტობაში ზესტაფონელები საჩემპიონო ზეიმის მოლოდინში იყვნენ. თითქმის ყველა მათგანი მოტილორით საუბრობდა და ბოლო ინფორმაციებს იღებდა სამტრედილიდან. თუმცა „ზესტაფონის“ „დახმარება“ თანაკუთხელებმა საბოლოოდ მაინც ვერ მოახერხეს და ზეიმი ზესტაფონისთვის გადადეს.

შეხვედრას ორივე გუნდისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა — მოგება კოლხების სახიფათო ზონიდან თავის დასაღწევად, ხოლო იმერლებს დიდი საჩემპიონო ნაბიჯის გადასადგმელად

სჭირდებოდათ. სოსო ფილიას გუნდი ლიდერს მნიშვნელოვანი დანაკლისით დაუხვდა — დისკვალიფიცირებული მახვილაძე და ცხვიტარია „კოლხეთს“ ამკარად დააკლდა. საბოლოოდ, სწორედ დაცვაში დაშვებულმა შეცდომებმა იქონია შედეგზე გავლენა.

არადა, დასაწყისი მასპინძლებს ცუდს არაფერს უქადდა. მართალია, კლასით სტუმრებს ჩამოუყვარდებოდნენ, მაგრამ ნაწილობრივ და ატალახებულ მინდორზე ამის გადაფარვა მონდომების ხარჯზე მოახერხეს.

მეტიც, პირველი რეალური ხიფათი ფოთელებმა შექმნეს, როცა ლევან მდინიშვილი კარგ პოზიციაში გაიყვანეს თანაგუნდელებმა, ფორვარდის დარტყმული ხარისხი უკუაგდო. მალე უკვე კოლხები გადაურჩნენ გოლს — ძაგანიაშვილი შოთა გრიგალაშვილის ახლოდან დარტყმული მოიგერია.

სულ ეს ორი ეპიზოდი ჩაინიშნენ პირველ ტაიმში, თუ არ ჩავთვლით ბოლო წუთებში საჯარიმოში ნიკა გელაშვილის დაცემას, როცა არბიტრს, ალბათ, პენალტის დანიშვნა მართებდა.

მეორე ტაიმი ზესტაფონელთა უპირატესობით დაიწყო. საწყის წუთებში გორგიაშვილს ორჯერ მიეცა გატანის შანსი — პირველ შემთხვევაში კარს ააცივდა, ხოლო მეორედ გატანა მოახერხა. თუმცა ამ ორი ეპიზოდს შორის გელაშვილის დარტყმულიც უნდა გასულიყო, მაგრამ ბურთი ტალახმა კარის ხაზზე შეაჩერა.

ფოთელები მრისხანე მეტოქეს არც გაშვებული გოლის შემდეგ შეუშინდნენ და მალე ანგარიშის გათანაბრებაც მოახერხეს — 59-ე წუთზე გიგა კვერცხიძის დათა სიჭინავას პასს თავი ისე დაუხვედრა, რომ კვასცხვაძემ რეაგირება ვერ მოახერხა — 1:1.

ამის შემდეგ კი თანდათან იმერელთა უპირატესობა აშკარა გახდა და ბოლო ოც წუთში მათ სამჯერ იხიერეს. ჯერ კახა ალადაშვილის მიერ შესრულებული ჯარიმის შემდეგ მეკარის მიერ მოგერიებულ ბურთზე ყველას კობახიძემ დაასწრო, შემდეგ მეკარის ბაქანში დაუშვილმა ბოლომდე იბრძოლა და ძაგანიაშვილს მეორე ცდაზე გაუტანა, ხოლო ბოლოს შეცვლაზე შესულმა აფციაურმა ხარისხიდან ასხლექილი ბურთი გოლად აქცია. საბოლოოდ, 1:4 — ზესტაფონმა მნიშვნელოვანი ქულები მოიპოვა, ხოლო ფოთელები თავს იმით თუ დაიმშვიდებენ, რომ მოგება ვერ შეძლო მათმა ერთ-ერთმა კონკურენტმა „სპარტაკმა“.

მაშუკა ძანთარია ფოთიდან

Match report for 08.05. ზუგდიდი. გ. თუთბერიძე. 350 მაყურებელი. Table with scores and statistics.

ბარბეშაშვილი თამაშებში მხილებული „ბაისი“ ორი ფეხბურთელი ონიანი და ვარტუა კლებმა იმ დღიდანვე დაითხოვა, რაც ეს ფაქტი გახმაურდა. ცოტა მოგვიანებით კლებმა კიდევ ორი

Match report for 08.05. ბოლნისი. თ. სტეფანიანი. 300 მაყურებელი. Table with scores and statistics.

ჭრანსჭარი კილავ ერთი კილავი კოპევევი — აცხადებს კლებს ქართველი ახალწვეული. მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი, რაღა თქმა უნდა, რევაზ გოცირიძეა, რომელმაც ბოლო ტურებში „ტორპედოში“ საკუთარი თავი იპოვა და ახალ გუნდში საგოლე ანგარიშზეც გახსნა. გუშინ კი გამოცდილმა თავდამსხმელმა თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ გაიბრწყინა. შესანიშნავად ითამაშა მისმა ახალგაზრდა მწველმა ნიკა საბანაძემაც. ბოლნისში ქუთაისელთა შუა ხაზმაც გვარიანად იმუშავა. ორივე გუნდის შემტევები სიზუსტით გამოირჩეოდნენ და გააფუჭებული სახიფათო

ბაიები უკანა და

ფეხბურთელი (აქუბარდია, ქირია) გამოძიების დასრულებამდე დაითხოვა. ისედაც შეთხვევითი შემადგენლობით მოასპარხე ზუგდიდური კლუბი მთლად ყმანვილი ფეხბურთელების ამაღრა დარჩა. ამიტომაც ყველა და მათ შორის ზუგდიდელებიც, „ოლიმპიან“ რაიმე განსაკუთრებულს არ ელოდნენ. მატჩის დაწყებამდე ფეხბურთელებმა და ქომაგებმა სერგო კორტიკაძის ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაცეს. თამაში დაიწყო და მასპინძლები ირაკლი ეხვასიას გოლის წყალობით მე-5 წუთზე დანიშნულდნენ. რუსთაველებმა სწრაფადვე უპასუხეს პირველ დარტყმას. „ბაისი“ მცველ გამრეკლადეს საკუთარ საჯარიმოში ბურთი ხელზე მოხვდა და ვადაჭკორიაძე არ დაახანა თერთმეტრმეტრიანი. პენალტი კი გამოცდილმა მოდებამ ვერ გამოიყენა, მას სომხიშვილმა აჯობა. მასპინძლებს 23-ე წუთზე ანგარიშის გაზრდა შეეძლო, თუმცა ბედიშვილმა პირისპირ გასულ „ბაისას“ ფორვარდ ქობალიას დაასწრო. რამდენიმე წუთში „ოლიმპის“ ფეხბურთელებმაც შექმნეს ხიფათი, გენაძის გრძელი გადაცემით ხელსაყრელ პოზიციაში პავლიაშვილი აღმოჩნდა, მაგრამ მისი დარტყმული ბურთი მცირედით ასცდა კარს. ატალახებულ მინდორზე ბურთის გაგორებაც კი სჭირდა, მაგრამ სახიფათო მომენტი ხშირად იქმნებოდა. პირველ ტაიმის მიწურულს ისევ მასპინძლები გააქტიურდნენ და ჯერ ქობალიამ, ხოლო შემდეგ ლომიამ შექმნეს ხიფათი. მეორე ტაიმშიც სწრაფი გოლით დაიწყო, ოლიმპამ აძვეურად სტუმრებსა. ბურთი მასპინძელთა კარში საჯარიმო დარტყმის შემდეგ აღმოჩნდა. ქვემოქართლელთა სისარული ხანმოკლე აღმოჩნდა, ორ წუთში მასპინძლებიც საჯარიმოში დაწინაურდნენ, სისარულიას ჩანოდეგულს თავი ეხვია-

ამ დაუხვედრად მუდმივად დარტყმული დაურტყვი: სტუმრებს თავიდანმოუწინათ ანგარიშის გათანაბრებაზე ზრუნვამ. ერთ-ერთი შეტევისას მურველაშვილი დაშვდა სომხიშვილთან შეჯახებისას და ორივეს სამედიცინო დახმარება დასჭირდა. რუსთაველთა მე-2 ნომერმა თამაშის გაგრძელება ვეღარ შეძლო. 65-ე წუთზე კი სტუმართა ზრახვებს წერტილი დაესვა. ნიკა შონიას ჩინებული გადაცემით ლომიამ ისარგებლა და ტაბლოზე მესამე გოლი დააფიქსირა. მატჩის დასრულების შემდეგ ორივე გუნდი დასტრია იმისა, რომ ჩვენს ქალაქში საფეხბურთო პოტენციალი მაღალია. რამდენი ფეხბურთელი წავიდა ჩვენი კლუბიდან და გუნდი მაინც იბრძვის ბოლომდე. ესენი ახალბედები არიან და მჯერა, დიდ ჭკბურთის ითამაშებენ. რაც შეეხება მატჩს, მართალია, სველმა მინდორმა ორივე გუნდს ხელი შეუშალა, მაგრამ ჩვენ სამი ქულა დამსახურებულად მოვიპოვეთ.

ლამა გოგილიაზა ზუგდიდიდან

გორაკლოში ყველაფერი რიგზეა

შპს კარგა ხნის გარკვეულია, რომ ჩემპიონატში დაკავებული მეოთხე ადგილი ევროსაგზურს ვერ იძლევა და ამიტომაც თასის გათანაბრებას შემორჩენილმა იმ გუნდებმა, რომლებიც უმაღლეს ლიგაში სამეულს მიღმა არიან, აქცენტი მთლიანად თავსუე გადაიტანეს. ფინალში გასული „ტორპედოსთვის“ ჩემპიონატში დარჩენილი მატჩები, პრაქტიკულად, რეკტივი იქნება 26 მაისისთვის. უნდა ითქვას, რომ „ტორპედო“ თასის ფინალს კარგ ფორმაში ხვდება. გუშინ გიგა გვატაძის გუნდმა არცთუ ოპტიმალური შემადგენლობით ბოლნისური მატჩი შთაბეჭდილად მოიგო. პირველ ტაიმში „სიონი“ ურიგოდ არ გამოიყურებოდა და გამარჯვებულის განჭვრეტა იოლი არ იყო. თუმცა, რაც ბოლნისელებს გუშინ დაემართათ, ეს მათთვის სეზონში პირველი არ ყოფილა — მაღალ დონეზე ჩატარებული პირველი ნახევრის შემდეგ კიდევ ერთხელ იჩინა თავი მათმა არასასარბიელო ფიზიკურმა მომზადებამ. სწორედ ამის ბრალი იყო, მეორე ტაიმში სტუმრები მთელ მოედანზე რომ გაბატონდნენ. მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი, რაღა თქმა უნდა, რევაზ გოცირიძეა, რომელმაც ბოლო ტურებში „ტორპედოში“ საკუთარი თავი იპოვა და ახალ გუნდში საგოლე ანგარიშზეც გახსნა. გუშინ კი გამოცდილმა თავდამსხმელმა თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ გაიბრწყინა. შესანიშნავად ითამაშა მისმა ახალგაზრდა მწველმა ნიკა საბანაძემაც. ბოლნისში ქუთაისელთა შუა ხაზმაც გვარიანად იმუშავა. ორივე გუნდის შემტევები სიზუსტით გამოირჩეოდნენ და გააფუჭებული სახიფათო

თო მიმენტები, ფაქტობრივად, არ გვიანავს. მასპინძლები ალექსანდრე გოგობერიშვილის მონოდებული კუთხურის შემდეგ სერგი ორბელიაძემ გაახარა, თუმცა ბოლნისელთა სისარულმა სამიოდე წუთს გასტანა. გიორგი სეთურისი ფლანგურ ჩანოდეგას გოცირიძე გამოეხმაურა და წონასწორობა აღადგინა. დაიწყო მეორე ტაიმი და „ტორპედოს“ უპირატესობაც უცებ გამოიკვეთა. გოცირიძემ აძვეურად საბანაძის გადაცემით დაანიაურა თავისიანები. ზუთ წუთში გიგი დიდვამ თავის მეკარეს ბურთი არაზუსტად დაუგორა, გადაცემა საბანაძემ ჩაჭრა და გოცირიძის მეორედ გაუნია ასისტენტობა — 1:3 და ყველაფერი აქ გაიკვია. შეცვლების მოხუდავად, „სიონს“ შეტევაში არაფერი გამოსვლია, სამაგიეროდ, გიორგი დათუნაშვილს შეეძლო სეზონის უღამახესი გოლის გატანა — „ტორპედოს“ ნახევარმცველმა კარიდან წინ გამოსული ზუსტაია შენიშნა და მოედნის ცენტრიდან დაარტყა. დათუნაშვილს მიზანმა ოდნავ უმტყუნა. ბოლო სიტყვა მაინც ტორპედოელებმა თქვეს. სტუმრებმა სწრაფად და ლამაზი კონტრეტევა განახორციელეს. იერიში შეცვლაზე შესულმა ლამა კემუხტაშვილმა ნაშოიწყო, თამაში გრიგოლ დოლიძემ გაამწავა და კემუხტაშვილს საგოლე უშავსა. „ტორპედომ“ მეოთხე საფეხური შეინარჩუნა, სიონელებს კი უმაღლეს ლიგაში დასარჩენად კიდევ მოუნვეთ ოფლის დაღვრა.



ლევან ჰანაუაშვილი ბოლნისი-თბილისი



სასწრაფო სასწრაფოდ



შის დაგვიანებით დაწყებაზე აზიურ ტოტალიზატორებში 8.0 კუმი ყოფილა და სასწრაფოც მოუსყიდათო...

პირველ ტაიმში მასპინძლებმა პირნ-მინდად დაჩაგრეს ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი, მაგრამ მეორეში დალლა დაეტყუოთ, კახა კაჭარავამ შეცვლები გამოიცილო და საბოლოოდ შეხვედრა „დინამოს“ გამარჯვებით დასრულდა. სამტრედიელთა პირველივე შეტევას

ნუთზე ცხადიას სახიფათო დარტყმას მცველები გადაელობნენ. იქვე ლომაშვილი ოთხ მცველს შორის გაძვრა, მაგრამ დარტყმა ვეღარ მოახერხა. 32-ე ნუთზე რუხია კარგ პოზიციაში მყოფ ბურჯანაძეს აწვდიდა, მაგრამ მას ლონდაძემ ააცალა ბურთი. დინამოელებმა პირველი რეალური ხიფათი 36-ე ნუთზე შექმნეს, როცა ჯუღისის თავური დარტყმა ასცდა მიზანს. ტაიმის ბოლომდე რუხიას და მიქაბერიძეს ჰქონდათ კარგი მომენტები, მაგრამ სიზუსტე დააკლდათ.

მეორე ტაიმში „სამტრედიამ“ დაცვაზე და ანგარიშის შენარჩუნებაზე გააკეთა აქცენტი. უპირატესობა დინამოელებმა მოიპოვეს, მაგრამ მათ რეალური საგოლე მომენტების შექმნა უჭირდათ. 55-ე ნუთზე ფანცხავამ ითამაშა კარგად, რამდენიმე მცველი ჩამოიშორა და დაარტყა კიდევ, მაგრამ ერთ-ერთმა სამტრედიელმა კუთხურზე მოიგერია. მდგომარეობის გამოსასწორებლად კაჭარავამ შეცვლებს მიმართა. მოედანზე კვეკვესკირის შემდეგ ტატანაშვილი და კახელიშვილიც გამოჩნდნენ. დინამოელთა თავკაცს შეცვლებმა გაუმართლა. ამას სამტრედიელთა დადლილობაც დაერთო და... 81-ე ნუთზე კახელიშვილის ფლანგურ ჩანოდეას ტატანაშვილის შედეგიანი თავური მოჰყვა 1:1. ორი ნუთიც არ იყო გასული, როცა კვლავ კახელიშვილმა გაიბრწყინა მარჯვენა ფლანგზე, მის მიერ ჩანოდეულ ბურთს ფანცხავამ თავით შეუცვალა მიმართულება და შეტევაში ჩართულმა თომაშვილმა თავითვე დალაშქრა ჯინჭარაძის კარი 1:2. დარჩენილ დროში „დინამოს“ ანგარიშის გაზრდაც შეეძლო. მატჩის დროს იყო ეპიზოდი, როცა სამტრედიელი გულშემატკივრები დინამოელთა სათადარიგოთა სკამს „შემოსწყურნენ“, თუმცა ეს ფაქტი ბოლოდროინდელ გახმაურებულ ამბებთან ახლოსაც ვერ მივა. პოლიციელებმა ერთ-ერთი ამრევი დააკავეს და სიტუაციაც იქვე განიშუბა.

დავით კოსტაძე
სამტრედიელი

08.05. სამტრედი. ე. მანგალაძე. 1 200 მაყურებელი	1
სამტრედი	1
დინამო	2

1:0 ლომაშვილი (3), 1:1 ტატანაშვილი (81. კახელიშვილის პასით), 1:2 თომაშვილი (83. ფანცხავას პასით)

სამტრედი	დინამო
4-3-2-1	3-5-2
ჯინჭარაძე	ლორია
ჩხიკვაძე	ლონდაძე
ხუბარაშვილი	თომაშვილი
დვალაშვილი	კოჭია
ენდელაძე	ხმალიძე
ცხადია	ბ. კვარაცხელია
ბურჯანაძე	არზინი
ბ. მიქაბერიძე	თვითშარბინიძე
ლომაშვილი	როგორცია
ალავერდიაშვილი	ჯუღისი
რუხია	ფანცხავა
მწკრიანი	მწკრიანი
ლ. ანგარიშაძე	კ. კაჭარავა


სამტრედი
60. ბურჯანაძე - ხმალიძე
81. ალავერდიაშვილი - ბოგინაშვილი
87. რუხია - ა. მანგალაძე
სამტრედიელები: პანძაძე, ხაჭაპურიძე, ახოზაძე

დინამო
46. თეთქურმანიძე - კვეკვესკირი
60. ლონდაძე - ტატანაშვილი
67. ჯუღისი - კახელიშვილი
სამტრედიელები: ზარქუა, ფირცხავა, ელიერი

გაფრთხილება: ენდელაძე (19), ხმალიძე (30), ლონდაძე (34), ლომაშვილი (47), კვარაცხელია (50)
არბიტრი: ლ. კვარაცხელია

სამტრედიში „დინამოს“ სტუმრობას ყოველთვის დიდი ინტერესით ელოდებიან და ახლაც ასე იყო. იმის მიუხედავად, რომ „სამტრედი“ ცალი ფეხით უკვე პირველ ლიგაშია, ამ ქალაქში ფეხბურთისადმი ინტერესი არ განულებულა. აედრის მიუხედავად, სტადიონზე საკმაოდ ბევრი მაყურებელი შეიკრიბა. თამაში რამდენიმე ნუთის დაგვიანებით დაიწყო. მიზეზი სტადიონზე სასწრაფო მანქანის არყოფნა იყო... ხალხი ხუმრობდა, თამა-

სპარტაკი პირველ ლიგას მიუახლოვდა



ვიტ ჯორჯიას მცველმა კარის გადარჩენა ვერ შეძლო

ლიც უმაღლესი ლიგადან გავარდნის რეალური კანდიდატია, შეხვედრა მონდომებით დაიწყო. ანგარიში სტუმრებმა 24-ე ნუთზე „ვიტ ჯორჯიას“ მეკარე არდალიონ მიქაბერიძის უხეში შეცდომის წყალობით გახსნეს: მის მიერ უხეიროდ მოგერიებული ბურთი საჯარიმოს ხაზთან ბესიკ დეკანოიძეს მიუგორდა, რომელსაც ცარიელი კარის აღება არ გასჭირვებია - 0:1.

თუმცა თერთმეტ ნუთში მიქაბერიძემ საკუთარი შეცდომა გამოასწორა, როდესაც გიორგი მამუჩიშვილის ნაქცევით სევის დანიშნული პენალტი ზვიად მეტრეველმა დაარტყა - მიქაბერიძემ ბურთი მოიგერია. დამატებაზე დეკანოიძის დარტყმა მცველს ხელზე მოხვდა, რაზეც სპარტაკელები მეორე პენალტის დანიშნას ითხოვნდნენ, მაგრამ მთავარმა არბიტრმა თორნიკე გვანცელაძემ თამაში გააგრძელა. ეტყობა, ჩათვალა, რომ ბურთი მამუჩიშვილმა ხელი და არა ხელზე ბურთი.

მთ ბევრი საგოლე მომენტი შექმნეს: 62-ე ნუთზე ბესიკ ჩიმაკაძემ ახლო მანძილიდან სოსო გრიშკაშვილს ვერ აჯობა. განსაკუთრებით გიორგი კორიფაძე და შეცვლაზე შესული გიორგი გურეშიძე აქტიურობდნენ. ვფიქრობთ, რომ უმცროს გურეშიძეს აქვს საიმისო პოტენციალი, რომ ახალგაზრდული ნაკრების ხელმძღვანელთა ყურადღება რომ მიიქციოს, რადგან პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც მოედანზე მისი გამოჩენისას „ვიტ ჯორჯია“ თამაშს ამწყვეტს.

კორიფაძემ და გურეშიძემ რამდენჯერმე სახიფათოდ დაარტყეს კარში, მაგრამ გრიშკაშვილი კარგად თამაშობდა. თუმცა „სპარტაკის“ მეკარემ 81-ე ნუთზე გუნდი ვეღარ გადაარჩინა, როდესაც დავით ხურცილავამ უძლიერესი დარტყმით ულამაზესი გოლი გაიტანა - 1:1. ამის შემდეგ თავის გამოჩენა შეეძლო ისევე გიორგი გურეშიძეს, მეკარეს-

თან პირისპირ დარჩენილ ლაშა გაბრიჭიძეს (დარტყმა იჩქარა და კარს ააცილა), არდალიონ მიქაბერიძემ კი სპარტაკელი თემურ შონიას ძლიერი დარტყმა დაამინა, საბოლოოდ, ფრე - 1:1, რომელმაც ცხინვალელები პირველ ლიგას მიუახლოვა.

მერაბ მამულაშვილი

პლ	გუნდი	თ	მ	ფ	გ	პ	ბურთები გატ./გაწ.	ქ
1	ზნაბაშვილი	33	22	6	5	64	17	72
2	დინამო	33	19	9	5	51	20	66
3	ოლიმპი	33	18	6	9	46	29	60
4	ტორპედო	33	12	12	9	28	21	48
5	ვიტ ჯორჯია	33	14	5	14	35	35	47
6	ბანი	33	12	5	16	31	45	41
7	სიონი	33	9	9	15	25	42	36
8	კოლხეთი	33	8	9	16	22	46	33
9	სპარტაკი	33	6	10	17	29	41	28
10	სამტრედი	33	6	7	20	25	60	25

08.05. თბილისი. შატლი. 400 მაყურებელი	1
ვიტ ჯორჯია	1
სპარტაკი	1

0:1 დეკანოიძე (24), 1:1 ხურცილავა (81). 35-ე ნუთზე პენალტი ვერ გამოიყენა მეტრეველმა (მეკარემ მოგერია).

ვიტ ჯორჯია	სპარტაკი
4-1-4-1	4-3-2-1
ა. მიხაბერიძე	გრიშკაშვილი
ხურცილავა	ჭაჭაძე
გიორგიშვილი	პოლოსო
ალაძე	ბურჯანაძე
ლანიშვილი	მანგალაძე
ბ. ბურჯანაძე	გაგუჩიანი
კორიფაძე	შონია
ვანელიძე	ქილაშვილი
მასაძე	ვაკუაძე
ზაქარაძე	დვალაშვილი
ჩიმაკაძე	მეტრეველი
მწკრიანი	მწკრიანი
ზ. პერიძე	ბ. კვარაცხელია

ვიტ ჯორჯია
59. ჯანელიძე - გიორ. ბურჯანაძე
73. ზაქარაძე - ბარბაქაძე
88. კორიფაძე - ახრამაძე
სამტრედიელები: ქაძაშვილი, ქანკვეტაძე, დვალაშვილი, როსტიაშვილი.

სპარტაკი
65. დეკანოიძე - კლოსი.
69. ჯაკობია - მ. ბარბაქაძე.
83. მანგალაძე - საწინაშვილი.
სამტრედიელები: დავითიანი, ალავერდია, ზურაბიძე, კაკაშვილი
გაფრთხილება: ჯაკობია (30), ადამაძე (34).
არბიტრი: თ. გვანცელაძე

გოლოდროინდელი სკანდალების შემდეგ ყველა შეხვედრას ექვით ვუყურებთ, მით უფრო, „ვიტ ჯორჯიას“ და „სპარტაკის“ მატჩებს. უფასო გამოგზავნილ ნურბერიძე ხომ ამ გუნდების ორი შეხვედრა საეჭვოდ დასახელდა. თუმცა, იმედა, ეს შეხვედრა მაინც არ იყო გარიგებული. მეტიც, საკმაოდ საინტერესო გამოდგა. როგორც ჩანს, გიგა ბუჭიაძის ამბავმა ვიტლებზე ძალიან ცუდად იმოქმედა და მათ პირველი ტაიმი ჩააგდეს, „სპარტაკმა“ კი, რომე-

პროგნოზი
გეგმვისთვის
სამტრედი
ბოძი

ანტირეკორდი...

პირდაპირ ვთქვათ, გასული კვირა სამარცხვინო ლაქად დარჩება ქართული სპორტის, განსაკუთრებით კი ჩვენი ფეხბურთისა და კალათბურთის ისტორიაში. ჯერ ფეხბურთზე, უფრო სწორად, ფეხბურთელებზე ვთქვათ. არა ვგვონია, ქართულ ფეხბურთში რაც მოხდა, იმაზე უფრო ღრმად უარყოფითი კვალი არ დატოვოს, ვიდრე წარმოგვიდგენია. სპორტი გულგრილს არავის ტოვებს, მით უფრო, როცა მოვლენების ეპიცენტრში შენი რაიონის თუ ქალაქის გუნდი — განსაკუთრებით ფეხბურთია. საქართველოში ადამიანები ყველგან მოუთმენლად ელოდებიან ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის ყოველ მომდევნო ტურს. ქომაგები გათამაშების ცხრილს ჩაპკორკიტებენ, ანალიზებენ, ბჭობენ, ვარაუდობენ, ნერვიულობენ, ხარობენ... და ამ დროს, თურმე ფიქციაა ყველაფერი — ფარული შეთქმულება-გარიგებების ხაფანგში გაბმული მსხვერპლი ყოფილა ალალი გულშემატკივარი. და, როგორ ფიქრობთ, ამის შემდეგ გაპყვება კიდევ ფეხბურთში მღელვარების ფინი მათ, ვინც ასე მწარედ მოატყუეს? კი, ბატონო, ვამბობთ, ზოგი ჩირი მარგებელიაო, მაგრამ დაფიქრებულვართ, რამდენი დრო დასჭირდება და რა მანძილია გასავლელი, ვიდრე ჩირი სასარგებლოდ შემოგვიბრუნდება? ნეტარ არიან მორწმუნენი! ქართულ ფეხბურთში თავჩენილი უბედურება არ გვექონდა გამოტირებული, რომ ჩვენმა კიდევ ერთმა სიამაყემ — კალათბურთმა „გვასახელა“, თანაც როგორ. ბარაქალა მას, ვინც ისეთ ფაქტს გაიხსენებს, რისი მონაწილეც გასულ შაბათს ვაგხდით კალათბურთში სუპერლიგის გათამაშებაში შსს-„სოსუმის“ მატჩის მსვლელობისას. ვერა, ვერ გაიხსენებს, სპორტის ისტორიაში არ იცის, არა მარტო კალათბურთში, საერთოდ, მოედანზე ვინმეს ფიზიკური შეურაცხველობა მიუყენებინოს მსაჯე... ქალისთვის. ვფიქრობთ, ასეთ რამეს „მაზაშვილებთან“ შეკრული ფეხბურთელიც არ იკადრებდა, არანაირ საფასურად არ შეირცხვენდა თავს, მსაჯე ქალს მოედანზე ცხვირბორს არ ჩაუშვებდა. მეტიც, ვინმე „მაზაშვილს“ რომ ფარული კონკურსი გამოეცხადებინა საშინელებათა სცენარზე, ასეთ რამეს ვერანაირი „თავზეხელაღებული სცენარისტიც“ ვერ მოიფიქრებდა. მაგრამ ჩვენ ხომ ყველაფერში ორიგინალურები ვართ და, აჰა, ერთი ანტირეკორდიც მივითვალეთ.

თენგიზ ბაჩიჩილაძე



ქართული ფეხბურთი

სკანდალის აქტ

ქველი ქონიაკია კარგი, ნარილისა კი რა ვითქვათ...

Your reference	Your correspondence of	Our reference	Date
		LDIS	28.02.2011

Wit Georgia Tbilisi - Spartaki Tskhinvali (Umaglesi Liga) 21.11.2010
 Wit Georgia Tbilisi - Spartaki Tskhinvali (Georgia Cup) 01.12.2010
 FC Kolkheti Poti - Samtredia (Umaglesi Liga) 12.02.2011

როგორ გაიტანა გოლი მოედნიდან გასულმა ეხვანია

ქონიაკის უსაფრთხოების დეპარტამენტის სპეცოპერაციამ საფეხბურთო სამყაროს ნაწილობრივ "ლუსტრირება" მოახდინა, როდესაც ოპერატიული ინფორმაციების საფუძველზე მაქინატორებთან გარიგებულ ეროვნული ჩემპიონატის მონაწილე რამდენიმე ფეხბურთელი დააკავეს.

ნუ ვიქნებით გულბრუნები: გარიგებში ფეხბურთელია მონაწილეობა არავის გაგვიკვირებია. ისედაც ყველასთვის ცხადი იყო, რომ საქართველოს ჩემპიონატი დიდი გარიგებების ბუდედ იყო ქვეული. ისიც ითქვა, რომ მსგავსი და უარესი მაქინატორები ხდება ბევრ სხვა ქვეყანაში. იტალიაში ლამის ყველა გრანდი დაზარალდა 2006 წელს კალჩოპოლის სკანდალის შედეგად, მასში გარეული აღმოჩნდნენ სერია A-ს და სერია B-ს გუნდები. 2006 წლის მაისში იტალიის პოლიციამ ფარულ გარიგებებსა და ჩემპიონატის თამაშებზე სასურველი მსაჯების დანიშვნაში აშხილა იტალიური კლუბები, მათ შორის მოქმედი ჩემპიონი "იუვენტუსი", "მილანი", "ფიორენტინა", "ლაციო" და "რეჯინა". "მილანი" სერია B-ში დაქვეითდა და ლიგის გათამაშების გამოტოვება ელოდა. საბოლოოდ სეზონი B ქულის დაკლებით დაიწყო, თუმცა ჩემპიონთა ლიგაზე თამაშის უფლება შეუნარჩუნდა "იუვენტუსი" კი სერია B-ში დააქვეითეს.

ცნობილია სხვა არაერთი ქვეყნის სკანდალური გამოძიების შედეგებიც - "ლივერპულის" მეკარე გრობელარი აზიურ ტოტალიზატორებთან კავშირში აშხილეს, მარსელის "ოლიმპიკმა" ქვეყნის ჩემპიონატში „ვალანსინთან“ შეხვედრა ჩააწყობა, რისთვისაც მისი პრეზიდენტი ვისოსებს მიღმა აღმოჩნდა. როდესაც უეფას თასს დაუეფლა, პეტერბურგის "ზენიტს" 50 მილიონ ევროდ მიუხედავად "ბაიერნის" მოსყიდვა ბრალდებოდა და სხვა მრავალის გახსენება შეიძლება.

რა მოხდა საქართველოში, ეს ბოლომდე არავინ იცის. ლაპარაკობენ აზიურ ტოტალიზატორებში ქართული გუნდების თამაშებზე მიღებულ ფსონებზე, მაგრამ გვიმტკიცებენ, აუტენტურობა არსად იღებენო და ეს მართლა არ გვსმენია. საინტერესოა ისიც, რომ უეფას წერილი თებერვლის ბოლოს გამოავაზენეს და მას შემდეგ ინახებოდა. რას ელოდებოდა ფეხბურთის ფედერაცია?

მხილებისა და მედიაკვლევების პროცესი კი დაიწყო, მაგრამ მისი ერთი მსხვერპლი ზუგდიდის "ბაიას" თავდამსხმელ ირაკლი ეხვანიაც გახდა. ცხადია, შეცდომა წინასწარ განზრახული არ იყო, მაგრამ ფაქტია: ერთ-ერთი ტელეკომპანიის სიუჟეტში თქვეს, თბილისის "დინამოსთან" სკანდალური შეხვედრის მე-14 წუთზე მოედანი ტრავმის მომიზეზებით "ბაიას" თავდამსხმელმა ეხვანიამ დატოვა, რაც წინასწარი შეთანხმების ნაწილად მონათლეს. არადა, ეხვანიამ 48-ე წუთზე გოლი გაიტანა, მოედნიდან კი მაკარა აქუბარდია გავიდა, რომელიც, ისევე, როგორც როინ ონიანი, ლევან ვართაგავა და დავით ქირია, გუნდს ჩამოაშორებს, ეხვანის მიმართ კი "ბაიაში" პრეტენზია არ აქვთ, მისი გარიგებებში მონაწილეობა ეჭვადაც არავის მოსვლია.

ცხადია, კუდ-ის გამოძიების შემდეგ ჩვენს ჩემპიონატს ისედაც გატყევილი სახელი კიდევ უფრო გაუტყდა, ჟურნალისტების ბუნებრივი სურვილი, გავრცევეთ ვითარებაში, ცილისწამებაში არ უნდა გადაიზარდოს და ამ საქმეში მტეხი სიფრთხილე გვმართებს. ბოლოს და ბოლოს, ფეხბურთში ნესიერი ადამიანებიც არიან და ყველას ჩირქი არ უნდა მოეცხთ.

მერაბ მამულაშვილი

22 000 000

ჩვენი ეროვნული საბითუმო ფასეულობა

საინტერესოა ცნობა: "გლაზგო რინჯერსის" ახალი მფლობელი ბიზნესმენი კრეიგ უაიტი გახდა, რომელმაც "რინჯერსის" აქციების 85,3 პროცენტი იყიდა და არ იკითხავთ, ამის სანაცვლოდ გლაზგოელთა ყოფილ მუშაებზე დევიდ მიურეის რა გადაუხადა? მხოლოდ ერთი გირვანქა! რატომ და, მას გლაზგოელთა ვალის გასტუმრებაც მოუწევს, რომელიც დაახლოებით ჩვიდმეტ მილიონ გირვანქას შეადგენს.

საინტერესოა, ბოლოდროინდელი სკანდალის, ეროვნული საფეხბურთო პირველობის დაბალი დონისა და მისი შელახული იმიჯის შემდეგ, რა ფასი ადევთ ქართულ კლუბებს?

პოპულარულმა გერმანულმა ვებგვერდმა "ტრანსფერმარკეტმა" საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის კლუბების ერთიანი სატრანსფერო ფასი დაასახელა (თანხა მითითებულია ევროებში).

გუნდავი	ფასი	ფ. ს. ფ.
1. დინამო	6.800.000	251.852
2. ზესტაფონი	5.800.000	232.000
3. ოლიმპი	3.075.000	123.000
4. ტორედო	2.325.000	93.000
5. შიქ ვაშლი	1.125.000	48.913
6. სპარტაკი	875.000	38.043
7. სიონი	850.000	30.357
8. ბანა	450.000	21.429
9. კოლხეთი	425.000	15.741
10. სამტრედი	400.000	15.385
სულ	22.125.000	88.500

შენიშვნა: ფ.ს.ფ. - ფეხბურთელის საშუალო ფასი

აღსანიშნავია, რომ გასული წლის მაჩვენებლებთან შედარებით კლუბების საერთო ფასი გაზრდილია. თუმცა, ვიცით რა ჩვენი გუნდების მადის ამბავი, დარწმუნებული ვართ, ბევრი მათგანის ნომინალური მფლობელი საკუთარს ბევრად უფრო ძვირად შეაფასებს. იყო კიდევ შემთხვევა, უფულო და უბიუჯეტო გორის "დილას" პატრონობის მსურველ კომპანიას 330 ათასი დოლარი მოსთხოვეს.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის "დინამო" ეროვნული ჩემპიონატის ლიდერი არ არის, მაინც ყველაზე ძვირადღირებული კლუბია. ცხადია, ისტორია და ბრენდობა ფასობს. მისი ფეხბურთელების საშუალო ფასი 251.852 ევროა. თუმცა ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი კვლავ "ზესტაფონისა" და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი მურთაზ დაუშვილია - 550 ათასი ევრო.

მერაბ მამულაშვილი

მოხაკლის ფეხბურთი



ირაო ბავშვების სამსახურში

ნოდარ ახალკაციის სახელობის საფეხბურთო სკოლა "ირაო" საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა "ფეხბურთი ბავშვებს", გაა მალრადემ, ნიკოლოზ დოლიძემ, გრიგოლ ცაავამ და ლევან ყიფიანმა 1998 წლის 10 სექტემბერს დააფუძნეს. მას შემდეგ სკოლამ დიდი ფეხბურთისკენ ბევრ ნიჭიერ ახალგაზრდას გაუკვალა გზა. მისი აღსაზრდელები საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების შემადგენლობაშიც ასპარეზობენ.

სასაუბროდ საფეხბურთო სკოლა "ირაოს" დირექტორ პეტრე ცაავას ვესტუმრეთ.

- საფეხბურთო სკოლის ტერიტორია თავდაპირველად საპატრიარქოს ეკუთვნოდა, მოგვიანებით მათ ბავშვებისთვის მოედნის მოსახყობად მიწის ეს ნაკვეთი გვაჩუქეს. დღეს სკოლაში 2000-2005 წლებში დაბადებული ასი ბავშვი ვარჯიშობს.
- ალსაზრდელებთან რამდენი მწვრთნელი მუშაობს?
- სკოლას სამწვრთნელო ლიცენზიის მქონე სამი მწვრთნელი ჰყავს - ირაკლი ოქიტაძე, ზაალ მალრადე და ლევან ანდელუაძე.
- სკოლაში სწავლა რა ღირს?
- გადასახადი თვიურად 40 ლარია. ამ თანხაში ბავშვების სპორტული ინვენტარით მომსახურება, კომუნალური გადასახადებისა და მწვრთნელთა სახელფასო ხარჯე-

ბის დაფარვაც შედის. აღსაზრდელებს შორის სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილებიც არიან, ისინი სწავლის საფასურს არ იხდიან.

- "ირაოს" მოედანმა არაერთ ტურნირს უმასპინძლა.

- პატარა ფეხბურთელები ხელოვნურ-საფრიან არასტანდარტულ მოედანზე იწვრთნებიან. ვარჯიშებისგან თავისუფალ დროს ჩვენს მოედანს კომპანიები ქირაობენ და საფეხბურთო ტურნირების უმეტესობა აქ იმართება. ტერიტორიიდან გამომდინარე ეს მოედანი ყველას იზიდავს.

- საფეხბურთო სკოლებმა სალიცენზიო შემომწმება გაიარეს, თქვენთან როგორ არის საქმე?

- ფეხბურთის ფედერაციის სალიცენზიო კომისიამ ჩვენი სკოლაც მონახულა. მოთხოვნათა შორის იყო საშხაპე-გასახდელები, მწვრთნელთა და სამედიცინო ოთახები. ამ მოთხოვნებს ვაკმაყოფილებთ, რადგან სკოლას სპორტული ლიცენზიის მქონე პედაგოგიც ემსახურება.

- თქვენი სკოლის აღსაზრდელები შემდგომ სხვა სკოლებში გადადიან.

- დიდი სურვილი გვაქვს, არსებულ მინიმოედანს ერთი სტანდარტულიც დაემატოს, რაც სკოლის აღსაზრდელებს საშუალებას მისცემს, "ირაოშივე" დარჩნენ.

სალომე ხრატინიშვილი

პეტრე ცაავა

იკოვაითი
გაეოსრო
თანამგზავრზე
 TURKSAT 3A 42.0°E
 12592V, SR 2220, FEC 5/6



სახელმწიფო ადმინისტრაცია



პრეზიდენტობა XXXVI ტური

ლივერპული უკვე ისპორიაა?

როცა რეპორტს ძულა აკლია ზიანი უკვე შეიძლება

ჩამკონტაქტის დამთავრებამდე სამი ტურით ადრე "ტოტენჰემი" პრაქტიკულად გამოეთხოვა ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობის შანსი და სერიოზული ეჭვის ქვეშ დააყენა ევროპის ლიგაში მოხვედრის ამბიციაც...

ვით ალექს მაკლიშის "ბირმინგემზე". შოტლანდიელმა სპეციალისტმა "ნიუკასლში" წააგო, რაც უპირველესად ლაიკამ რიგგარეშის ბრალია, ვინც არბიტრმა ჯერ კიდევ პირველ ტაიმში გააძევა. ათკაციანმა "ბირმინგემმა" კი უკვე ველარაფერი გააწყო მასპინძელთან.

თანაგუნდელისგან გრძელი პასი მიიღო და საჯარიმოში შექსიკელს დაუგორა. ამ უკანასკნელმა დავიდ ლუისს სისწრაფეში აგვობა და პეტრ ჩეხის ბაღე შეარჩია. მალევე შეეძლო ანგარიშის გაზრდა უეინ რუნის, მაგრამ მისი გასროლა ჩეხმა მოიგერია. იყო მომენტი, როცა მასპინძელთა უპირატესობა ბურთის ფლობაში 80%-ს აღწევდა...



კვირები წარმოიდგინდნენ. 75-ე და 76-ე ნუთებზე მასპინძელთა კარში ორი პენალტი დაინიშნა. პირველად დოუსონმა ითამაშა ხელით, მაგრამ გუნდი გომეშმა გადაარჩინა, რამდენიმე წამში კი უკვე ბრაზილიელმა მეკარემ დასცა საკუთარ საჯარიმოში მეტოქე. პირველისგან განსხვავებით მეორედ ჩარლი ადამი ზუსტი იყო. ასე გაიხსნა ანგარიში. რენდნის ბიჭებმა შეხვედრის გადარჩენა ბოლო ნუთებზედა შეძლეს. უფრო სწორად არა ბიჭებმა, არამედ ბიჭმა, ლაპარაკია ჯერმეინ დეფოზე, ვინც ფანტასტიკური შორეული დარტყმით შეძლო გატანა.

შეორე ტაიმზე მშვენიერი სანახაი იყო, მაგრამ "მანიუმი" აშკარად მოუკლო ტემპს და მეტოქეს თამაშის საშუალება მისცა. რითაც მათ მაინცდამაინც ვერ ისარგებლეს. იმასაც კი ვერ ვისვენებთ მოუხდა თუ არა ედვინ ვან დერ სარს თუნდაც ერთი რთული ბურთის ალება. შექმნილი მომენტებიდან ერთადერთი აღსანიშნავი ის იყო, რომ ჰოვარდ ვებმა მასპინძლებს 100%-იანი პენალტი არ მისცა, როცა ვალენსიას ფლანგურ პასს იგნორირება ხელით შეუცვალა მიმართულა. ამას გარდა შეიძლება რუნისა და ერნანდესის მიერ გაფუჭებული საოცარი მომენტების გახსენებაც.

უტოლდებოდა, მაგრამ დარჩენილ შეხვედრებში მათ ნამდვილად აღარაფერი ეცქარებოდათ. ასეთი საშინელი თამაშით მათ მეოთხე ადგილზე დაქვეითების "შანსიც გაუჩინა". ბოლოს კი მივადექით ტურის და აღბათ ჩემპიონატის უმთავრეს დაპირისპირებასაც. "მანჩესტერ იუნაიტედმა" შინ "ჩელსი" მიიღო და შეიძლება თქვას, რომ ლონდონელებთან ლამის ომი გადაიხდა. პრემიერლიგის დასრულებამდე 2 ტურით ადრე "არისტოკრატებთან" განსხვავება 6 ქულაა. "არისტოკრატებს" ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში საერეკორდო მე-19 ტიტულს ახლა 1 ქულა და აპირებს. და ვის სჯერა, რომ "მანიუ" დაჩრდილ მატჩებში ქულას ვერ აიღებს? ალბათ არაფერია. ჰოდა, ჩვენც ნინასწარ ვულოცავთ ამ კლუბის ქართველ გულშემატკივრებს. სათაურში კი როგორც უკვე შეატყობთ, ჯერ კიდევ ვფერხილობთ. ჩვენს პოზიციას იზიარებენ ინგლისელი ჟურნალისტებიც და თუკი ვებგვერდებს თვალს გადაავლებთ, შეამჩნევთ, რომ "ემპაკებს" ისინიც პრაქტიკულად უკვე ჩემპიონებად აცხადებენ. არადა, ლონდონელებს თუნდაც 1:0 რომ მოეგოთ, ბურთების უკეთესი ბალანსის წყალობით (ასეთ შემთხვევაში მათი უპირატესობა +2 იქნებოდა) პირველ ადგილზე ისინი გადადიოდნენ. მართალია ფრე ორივე გუნდს თავის ადგილზე დატოვებდა, მაგრამ რეალურად ამ შემთხვევაშიც ნაგებული მიოდნობური კლუბი გამოდიოდა. წარმოიდგინეთ, რამხელა ინტრიგა ახლდა აღნიშნულ დაპირისპირებას.

შეორე ტაიმზე მშვენიერი სანახაი იყო, მაგრამ "მანიუმი" აშკარად მოუკლო ტემპს და მეტოქეს თამაშის საშუალება მისცა. რითაც მათ მაინცდამაინც ვერ ისარგებლეს. იმასაც კი ვერ ვისვენებთ მოუხდა თუ არა ედვინ ვან დერ სარს თუნდაც ერთი რთული ბურთის ალება. შექმნილი მომენტებიდან ერთადერთი აღსანიშნავი ის იყო, რომ ჰოვარდ ვებმა მასპინძლებს 100%-იანი პენალტი არ მისცა, როცა ვალენსიას ფლანგურ პასს იგნორირება ხელით შეუცვალა მიმართულა. ამას გარდა შეიძლება რუნისა და ერნანდესის მიერ გაფუჭებული საოცარი მომენტების გახსენებაც.

Table with 5 columns: Team Name, Points, Goals, etc. for the 36th round of the Presidential Election.

Table with 2 columns: Round Number and Candidate Name, listing candidates for various rounds of the election.

Table with 2 columns: Round Number and Candidate Name, listing candidates for various rounds of the election.

სპორტული მართვინალი



ჩლაიძე

ამ მატჩში მოხდა სეზონის ყველაზე შვი ფაქტი - ბესიკ ლევაყავამ მსაჯს თავი ჩაარტყა...

კარგად მახსოვს, დედუ დადიანის მეორე მხარე...

- ვაჟა მას, ხვალ არ მათამაშებ?
- ვათამაშებ.
- ცოტას?
- ვათამაშებ...

მეორე დღეს განგებ დავაკვირდი, ჩლაიძემ ითამაშა, მაგრამ ცოტა... მამინ, ირაკლი ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა...

მართლაც, სირენამდე 3:56 წუთით ადრე ბესიკ ლევაყავამ სამჭულაიანის შემდეგ ტაბლოზე 70:62 დაიქსირდა...

მართლაც, სირენამდე 3:56 წუთით ადრე ბესიკ ლევაყავამ სამჭულაიანის შემდეგ ტაბლოზე 70:62 დაიქსირდა...

რის ხარჯზე დაამარცხა „სოხუმში“ შსს-ს კითხვაზე საინტერესო პასუხი აქვს ლაბიტვილი სპეციალისტს:

- შსს-ს მხარეს გამოცდილება და კლასი იყო, ჩვენს მხარეს - ახალგაზრდული ჟინი ველორობა და არაპროფესიონალიზმადობა...

ცხადია, განზოგადებული იყო შსს-ს თავიდან და ვითარებაში:

- როდესაც სიტუაციაში ვიყავით, ნახევარი გუნდი ტრავმირებული იყო. უშუალოდ მატჩის მსვლელობისას კოჭი დაიზიანა...

შპს-ს მოსწონს

ლაშქარაძე ჩააგმამ

...თვალწარმოკლებული მსაჯი, თანაც ძალი

შსს-ს მოსწონს მატჩის დასრულებამდე 13.3 წამით ადრე, როცა ტაბლოზე სოხუმელთა სასარგებლოდ 79:75 ეწერა, ლაშქარაძე...

ამის წერა მეორე დღესაც ძალიან რთულია, მაგრამ იმ მომენტში ყველგვარი ერთი-ორად მხარედ აღიქმებოდა...

ფარდის მიღება

ორი არბიტრი აფრიკაშიც აღარაა!

ამ სტატიას სათაური დავანერგე თუ არა, „სკაიპში“ ნაცნობმა გოგონამ მომწერა...

შაბათის შემდეგ ბევრი ლაშქარაძის მსაჯის ცემის ფაქტზე, ეს ამბავი ქართულ კალათბურთს შავ ლაქედ რომ დააჩნდებოდა...

ზაზა ფაჩულაძე ჯეისონ რიჩარდსონს თავი რომ ჩაარტყა...

ზაზა ფაჩულაძე ჯეისონ რიჩარდსონს თავი რომ ჩაარტყა, ამერიკელმა ტელეკომენტატორებმა და ფოტოგრაფებმა ყველა რაკურსით გადაიღეს...

ასეთი დამაბულობისთვის მოუწადებლები აღმოჩნდნენ კალათბურთელებიც...

Table with basketball scores: შსს 75, სოხუმი 79, 20:21, 14:15, 17:14, 24:29

დავით უსტაშვილი მართლაც მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდა: პირველ მეოთხედში...

ფეხრობ, განახლებული გუნდით შსს-ს მატჩში რომ უჩვენა, უპირველესად მწვრთნელის, დავით უსტაშვილის დამსახურებაა.

ბოლოს ვთავაზობთ მეოთხე პერიოდის ქრონოლოგიას.

Table with game statistics: შსს-სოხუმი, 9:36 ნიკოლაძე 2ქ (53:50), 9:20 ფარდალაძე 3ქ (53:53)...

საოცარი სანახაობის მომსწრენი აღმოჩნდნენ ჩხუბის შემდეგ: მამინ, როცა მთელი შსს გასახდელი იყო...

ქართული NBA-ში

ჩიკაგო ატლანტის მოიბო

„ატლანტის“ ჩიკაგოსთან შინ წაავი და მეტოქეს სერიაში 2:1 დანიშნურების უფლება მისცა. ზაზა ფაჩულაძის თანაგუნდელები...

დამაჯერებელი თამაში დასასრულა - ჩვენი მალეები მოწოდების სიმაღლეზე ვერ იყვენო. „ჩიკაგომ“ მოხსნებში 47:34 იმარჯვა.

Table with game results: ატლანტა-ჩიკაგო 82:99, ზაზა ფაჩულაძე: 09:03 წუთი, 1 ქულა...

აქედან გამომდინარე, იგი სადისციპლინო კომიტეტის ვადანწყვეტილებას არ გულისხმობს...

ფარდის მიღება

ორი არბიტრი აფრიკაშიც აღარაა!

ესოდენ დაძაბული ჩემპიონატისთვის კალათბურთელების პარალელურად მსაჯეებიც მოუშაბდებელი აღმოჩნდნენ...

არადა, საერთაშორისო კატეგორიის სულ სამი არბიტრა და, ლოგიკურად, ვადანწყვეტი მატჩები მართლაც ბერეკაში...

ზაზა ფაჩულაძე ჯეისონ რიჩარდსონს თავი რომ ჩაარტყა...

ზაზა ფაჩულაძე ჯეისონ რიჩარდსონს თავი რომ ჩაარტყა, ამერიკელმა ტელეკომენტატორებმა და ფოტოგრაფებმა ყველა რაკურსით გადაიღეს...

ასეთი დამაბულობისთვის მოუწადებლები აღმოჩნდნენ კალათბურთელებიც...

სადისციპლინო კომიტეტმა წვლინა ნახევარი დისკვალიფიკაცია მომისაჯა. ვფიქრობ, ეს სწორი ვადანწყვეტილებაა...

ფარდის მიღება

ორი არბიტრი აფრიკაშიც აღარაა!

ესოდენ დაძაბული ჩემპიონატისთვის კალათბურთელების პარალელურად მსაჯეებიც მოუშაბდებელი აღმოჩნდნენ...

არადა, საერთაშორისო კატეგორიის სულ სამი არბიტრა და, ლოგიკურად, ვადანწყვეტი მატჩები მართლაც ბერეკაში...

ზაზა ფაჩულაძე ჯეისონ რიჩარდსონს თავი რომ ჩაარტყა...

ზაზა ფაჩულაძე ჯეისონ რიჩარდსონს თავი რომ ჩაარტყა, ამერიკელმა ტელეკომენტატორებმა და ფოტოგრაფებმა ყველა რაკურსით გადაიღეს...

ასეთი დამაბულობისთვის მოუწადებლები აღმოჩნდნენ კალათბურთელებიც...

საპროგრამო ცხელ მიწათხი
საპროგრამო ცხელ მიწათხი
საპროგრამო ცხელ მიწათხი



პაო ჩაპიონია!

ფლეპანდელი ევროლიგა „პანათინაიკოსის“ ტრიუმფით დასრულდა. ბერძნულ გრანდს „ოთხთა ფინალში“ ორ ყველაზე უხერხულ მეტოქესთან მოუწია შეხვედრა და ორივე შემთხვევაში ღირსეული თამაშით დაგვამახსოვრა თავი.

1/2 ფინალი

პანათინაიკოსი-მონტეპასი 77:69

17:21, 23:15, 16:11, 21:22
 პ: კალატესი (17+6 მოხსნა), ბატისტა (16+7 მოხსნა), ფოცისი (14), დიამანტიდისი (8+9 პასი), სატო (6+5 მოხსნა), ვიუიკასი (6), პერპეროგლუ (5), ნიკოლასი (3), ცარცარისი (2).
 მ: კაუკენასი (13), პერსტონი (12), რაკოვიჩი (10), ლავრინოვიჩი (7), მაკალეზი (7+4 პასი), მისი (6), ცისისი (4), აკინდელუ (4), სტურნუკი (4+14 მოხსნა), კარარტო (2).

„მონტეპასი“ არ უღალატა ტრადიციას და ისევ ვერ მოიპოვა ევროლიგის გადამწყვეტი მატჩის საგზური. იტალიური კლუბი მეხუთედ მოხვდა „ოთხთა ფინალში“ და კვლავ ნაავანაღვი ნახევარფინალი, მისი მეტოქე „პანათინაიკოსი“ კი ბოლო 12 წლის განმავლობაში მეექვსედ ითამაშებს ფინალში.

სტარტზე ორივე გუნდს ნერვიულობა ეტყობოდა - მეტოქეებმა ერთ ნუთში ოთხ-ოთხი (!) შეცდომა დაუშვეს. ამის შემდეგ „მონტეპასის“ ფარქვეშ უპირატესობა გამოიკვეთა, რისი წყალობითაც იტალიელებმა პირველი მეოთხედი 21:17 მოიგეს.

სხვათა შორის, „მონტეპასის“ იტალიური გუნდი მხოლოდ გეოგრაფიული მხრივით შეეძინა - შემადგენლობაში მას მხოლოდ ორი იტალიელი ჰყავს, „პანათინაიკოსში“ კი ერთბაშად შვიდი ბერძენი თამაშობს და შედეგზე პასუხისმგებლობა სწორედ მათ დაწვავს კისერზე. **კალატესის, დიამანტიდისისა და ფოცისის** მონდომებით „პაო“ მეორე მეოთხედი 23:15 მოიგო და საფუძველი ჩაუყარა საბოლოო გამარჯვებას.

მეორე ნახევარში ბერძნული გრანდის კონანით ჩაიარა. თითქმის იდეალური გახდა გუნდური მოქმედება, რამაც შოკში ჩააგდო „მონტეპასი“. ბერძნების რიგებში რთული იყო რომელიმე კალათბურთელის გამოყოფა - ნებისმიერი მაქსიმალური თავდადებითა და რაც მთავარია, ნაყოფიერად თამაშობდა. ბოლო მეოთხედის წინ „პანათინაიკოსი“ 56:45 იყო წინ.

ბოლო მეოთხედში იტალიური გუნდის გულშემოტყვიერებს იმედი გაუწნდათ, განსაკუთრებით მაშინ, როცა **კაუკენასმა** ერთ შეტევაში ოთხი ქულა დააგროვა (სამქულიანი+ჯარიმა), მაგრამ ეს დროებითი ნარმატება იყო. მალე მეხუთე პერსონალურით მოედანი დატოვა **კომპოტოფ ლავრინოვიჩმა** და მატჩის გადარჩენის ბოლო იმედი გაქრა. „პანათინაიკოსის“ ნარმატება დიდწილად მისი მწვრთნელის **ჟელკო ოზრადოვიჩის** პროფესიონალიზმმა განაპირობა, რომლისთვისაც ეს ფინალი მე-12 (!) იქნება კარიერაში.

გააკაბი-ჩაპალი 82:63

14:12, 18:17, 23:18, 27:16
 მ: ეიდსონი (19+8 მოხსნა), შორცანიდისი (16+5 მოხსნა), პინი (14), პარგო (13+7 პასი), ბლოუ (10+5 მოხსნა), პენდრიქსი (6+6 მოხსნა), პარი (3), ელიაპუ (1).
 რ: ტომიჩი (17+6 მოხსნა), რეიესი (15+14 მოხსნა), ლიული (9), პრიჯიონი (9), სუარესი (8), ტაკერი (3), ფიშერი (2).

მეორე ნახევარში არანაკლები ინტერესი გამოიწვია. ამ წყვილში ფაქტორიტის დასახელება რთული იყო, თუმცა

ჩაპიონი უფსკრულის პირას

ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ წელს NBA-ის ახალ ჩემპიონს გავიცნობთ. „ლეიკერსმა“ ზედიზედ მესამე მატჩი წააგო „დალასთან“ და ყველამ კარგად იცის, რომ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის პლეი ოფი არაფის გადაურჩენია სერია 0:3-ის შემდეგ. ასეთი შემთხვევა ისტორიაში 98-ჯერ დაფიქსირდა და ყოველთვის გამარჯვებული დანინაურებული გუნდი გამოდიოდა.

აღმოსავლეთი

გოსპორნი-მაიამი 97:81

27:21, 17:25, 28:15, 25:20
 ბ: გარნეტი (28+18 მოხსნა), პირსი (27+5 მოხსნა+5 პასი), ალენი (15+4 პასი), უესტი (11+3 პასი), რონდო (6+11 პასი), გრინი (6), ჯონილი (2+3 დაფარება), მ.ონილი (2).
 მ: უეიდი (23+7 პასი+6 მოხსნა), ჩელმერსი (17+3 პასი+3 ჩაჭრა), ჯეიმსი (15+7 მოხსნა+5 დაფარება+4 პასი), ენტონი (12+11 მოხსნა), ბოში (6+5 მოხსნა), ჯონსი (6), ილგაუსკასი (2).

სერია: 1-2

„ბოსტონმა“ აღმავლობით ჩაატარა სერიის მესამე მატჩი და დაამტკიცა, რომ ამ დაპირისპირებაში ინტრიგა არ მომკვდარა და „მაიამის“ წინააღმდეგ ბრძოლა შეიძლება.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ რეი ალენის, კევინ გარნეტისა და პოლ პირსის ტრიომ „ბოსტონის“ პირველი 23 ქულა თავის ანგარიშზე ჩაინერა. პირველი მეოთხედის ბოლოს ღირსშესანიშნავ მომენტს ჰქონდა ადგილი - „ქელტების“ რიგებში დაბრუნდა **შაკილ ო'ნილი**. ენტონი ცენტრს განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია - 2 ქულა, ერთი შედეგიანი პასი, მაგრამ მისი გამოჩენა მაინც მნიშვნელოვანი იყო, თუნდაც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით.

შაკი დაბრუნდა, სამაგიეროდ, მესამე მეოთხედში „ბოსტონმა“ კინაღამ დაკარგა ძირითადი გამთამაშებელი **რაჟონ ორნდო**. მცველმა **დუეინ უეიდთან** შეჯახებისას სერიოზულად დაიზიანა იდაყვი და ის სხვების დახმარებით გაემართა ვასახდელში. თუ რას ნიშნავს რონდო „ბოსტონისთვის“, ამ სტატისტიკური მონაცემითაც კარგად ჩანს - როცა რაჟონი თამაშშია, ალენი და პირსი საშუალოდ 20.5 და 20.2 ქულას აგროვებენ, როცა რონდო ისვენებს, ეს მაჩვენებლები 9.4 და 17.7 ქულამდე ეცემა. სხვათა შორის, გუმბინდელი 15 ქულა ალენმა მაშინ მიითვალა, როცა რონდო მოედანზე იყო. ერთადერთი, ვისი სტატისტიკაც არ ზარალდება, გარნეტია, რომელიც ამ მატჩის საუკეთესო მოთამაშე იყო.

და მაინც, მთავარი გმირი არა გარნეტი ან პირსი, არამედ რონდო გახდა. ტრავმის მიუხედავად, ის მოედანზე დაბრუნდა, „ცალხელამ“ გააგრძელა თამაში და ასეთ სიტუაციაში პასების

დარიგებაც მოახერხა, ჩაჭრაც და ბურთის ჩატენვაც!
 თუნდაც ამ თავდადების გამო არ ჰქონდა „ბოსტონს“ ამ მატჩის წაგების უფლება, მით უმეტეს, რომ მასპინძლებს მეტოქეც დაეხმარა - „პიტმა“ სამქულიანები 21-პროცენტის სიზუსტით ისროლა, ხოლო **ლებრონ ჯეიმსმა** და **კრის ბოშმა** თამაშიდან ჯამში 7 ბურთი ჩააგდეს (22-დან).

„ბოსტონმა“ ისევ არ წააგო „მაიამისათან“ საკუთარ მოედანზე (მანამდე იყო ორი მოგება რეგულარულში) და თუ იგივეს შემდეგ მატჩშიც გააკეთებს, ფსიქოლოგიური უპირატესობა მის მხარეს გადავა. როგორც ჩანს, წინ ხანგრძლივი სერია გველოდება.

აშლანა-ჩაპალი 82:99

23:29, 20:27, 20:24, 19:19
 ა: ტიგი (21+3 პასი), სმიტი (17+13 მოხსნა+4 პასი+4 დაფარება), პორფორდი (10+8 მოხსნა), ჯონსონი (10+3 პასი), უილიამსი (10), კროფორდი (7+3 პასი), უილიკინსი (4), არმსტრონგი (1), ფაჩოლია (1), სი (1).
 ჩ: როუზი (44+7 პასი+5 მოხსნა), გიბსონი (13+11 მოხსნა+3 დაფარება), კორვერი (11), უოტსონი (8), დენგი (7+6 მოხსნა), ბუზერი (6+6 მოხსნა), ზოგანსი (6), ნია (2+15 მოხსნა+5 დაფარება+3 პასი), ბრუერი (2).

სერია: 1-2

დასავლეთი

დალასი-ლიუკარსი 98:92

29:27, 18:24, 19:21, 32:20
 დ: ნოვიცი (32+9 მოხსნა), ტერი (23), სტოიაკოვიჩი (15), კიდი (11+9 პასი), ჩენდლერი (8+5 მოხსნა), ბარეა (4+5 პასი), სტივენსონი (3), მერიონი (2+8 მოხსნა+3 პასი+2 დაფარება), ჰეივუდი (0+7 მოხსნა).
 ლ: ბინუმი (21+10 მოხსნა), ოდომი (18+6 მოხსნა+3 პასი), ბრაიანტი (17+6 პასი), პ. გასოლი (12+8 მოხსნა), ბრაუნი (10), ფიშერი (9+5 პასი), ბლეიკი (5).

სერია: 3-0

მესამე მატჩში „ლეიკერსის“ მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმე იყო, რადგან, ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციის გამო შეხვედრას ტოვებდა **რონ არტესტი**. მისი ადგილი სასტარტოში **ლამარ ოდომმა** დაიკავა.
 კალიფორნიელთა მწვრთნელმა **ფილ ჯექსონმა** აქცენტი მდებარეზე გააკეთა, მაგრამ ვერც **ბინუმი**, ვერც **გასოლი** და ვერც ოდომმა ვერ გაამართლეს ლეგენდარული სპეციალისტის იმედები. **დირკ ნოვიციკი** ისე ითამაშა, თითქოს მას არავინ იჭერდა. გასოლი ძალიან პრიმიტიულად უტყვევდა და დაცვაშიც არ ვარგოდა, რის გამოც ფილ ჯექსონმა ერთხელ სამართლიანად უბიძგა მკერდში ხელი. და კიდევ, სტუმრებმა ფარქვეშ ბრძოლაც წააგო - 37:39.

უცნაურია, მაგრამ ამ ყველაფრის მიუხედავად, მატჩის დასრულებამდე 7 წუთით ადრე სტუმრების უპირატესობა



შეტევაზე დირკ ნოვიცი

ჯანსაღი სპორტი

გოლფი

ლეონა გარდაიხვალა



შაბათს, 54 წლის ასაკში გარდაიცვალა ლეონ გარდაიხვალა...

სნეკერი

ჩეხეთის სპორტის მოთავეზე

მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ გა-მოაშინეს სეზონის საუკეთესო სნეკერისტი...

ერთად იზრდებოდა, რადგან მისი ბაბუა პროფესიონალი იყო...

1973 წელს, 16 წლის ასაკში ბალესტეროსი პროფესიონალი გოლფისტი გახდა...

1997 წლიდან მოყოლებული ბალესტეროსის თამაში ჩავარდნა დაიწყო...

1999 წელს მან განაცხადა, რომ სულ უფრო და უფრო ნაკლებ დროს უთმობს გოლფს...

და ახალგაზრდა ინგლისელი ჯად ტრამპი...

პიკინის აღიარება მით უფრო დასაფასებელია იმის გათვალისწინებით...



ფორმულა 1

ბერნის ალგორითმული სერია არ აღელვებს

ფორმულა 1-ის ფაქტობრივად მფლობელმა ბერნი ექსტრემმა...

მსგავსი ფორმულა 1-ის ტექნიკური რეგლამენტის დაგეგმვა...



ბერნი გუშინდელი გრანპრის დროს


ზე გადასვლამ წარმოშვა. "ფერარის" წარმომადგენლებმა უკვე განაცხადეს...

როგორც ჩანს, ექსტრემის დიდად არ ანაღვლებს იტალიური მხარის პრობლემები...

"ადრეც ხშირად იმუქრებოდნენ ალტერნატიული სერიის ჩატარებით, მაგრამ დღემდე ამის გაკეთება ვერაფერს შეძლო..."

მოსალოდნელი განხეთქილების მიზეზი ისიც არის, რომ გუნდებს სურთ ფორმულა 1-ის კომერციული უფლებების თანამფლობელები გახდნენ...

როგორც. ტურნირები



მადრიდულ პუბლიკას გაუმართლა - არასტაბილური თამაშის მიუხედავად, როჯერ ფედერერმა ნახევარფინალამდე მიაღწია...

შვეიცარიელს გრუნტზე სულ ორჯერ ჰყავს დამარცხებული ესპანელი და ერთხელ ეს სწორედ მადრიდში მოახერხა...

მატჩის წინ იყო ვარაუდი იმის შესახებ, რომ ნადალისა და ფედერერის რიგით 24-ე შეხვედრა ვერ გაამართლებდა...

ნადალმა ბრეიკით გახსნა მატჩი და შემდეგ საკუთარი გემით აიღო - 2:0. ფედერერის სასახელოდ უნდა ითქვას...

ვიკას დუბლი არ გამოუვიდა

მადრიდში ქალთა ტურნირი ჩეხი პეტრა კვიტოვას გამარჯვებით დასრულდა...

ვიტორია აზარენკამ რევანში აულო გერმანელ იულია გიორგესს შტუტგარტის ტურნირზე...

ამჯერად აზარენკას ჯანმრთელობის მხრივ ყველაფერი წესრიგში ჰქონდა, გიორგესს კი დაღლა ეტყობოდა...

როგორც ჩანს, ექსტრემის დიდად არ ანაღვლებს იტალიური მხარის პრობლემები...

როგორც ჩანს, ექსტრემის დიდად არ ანაღვლებს იტალიური მხარის პრობლემები...

ფინალი საათსა და 42 წუთს გაგრძელდა. ორივე ჩოგბურთელს საკმაოდ ბევრი ბრეიკ-პონტი ჰქონდა...

სუპერმასილი მადრიდში

ბა დაეხმარა, არადა, თამაშის ამ კომპონენტში შვეიცარიელი მთელი მატჩის განმავლობაში ამკარად მოიკოჭლებოდა...

მეორე სეტის დასაწყისში ფედერერი მსაჯს ნაეჩხუბა - ნადალის ბრეიკ-პონტზე მოეჩხუბა, რომ ესპანელის დარტყმა აუტოში გავიდა...

გადაწყვეტი სეტისთვის ფედერერი შესანიშნავად განეწყო. ბრეიკის შანსიც მიიღო, მაგრამ რაფაელი კრიტიკულ მომენტებში სტაბილურად თამაშობდა...

მეორე ნახევარფინალში ნოვაკ ჯოკოვიჩი ამკარა ფავორიტი იყო ბრაზილიელ ტომას ბელუჩისთან მატჩში...

ბრაზილიელი თავიდანვე გაიჭრა წინ, რისი მიზეზიც სერბის უამრავი შეცდომა იყო. ბელუჩიმ მოიგო პირველი სეტი და მეორეში ბრეიკით დანინაურდა...

ნადალმა ბრეიკით გახსნა მატჩი და შემდეგ საკუთარი გემით აიღო - 2:0. ფედერერის სასახელოდ უნდა ითქვას...

Table with ATP Mutua Madrid Open results: 1/4 ფინალი, 1/2 ფინალი

კვიტოვას სასარგებლოდ. ამ მატჩის შემდეგ ჩეხის პირადი ანგარიში ბელარუსთან დაპირისპირებაში გათანაბრდა - 2:2.

კვიტოვამ მესამე ტიტული მოიპოვა ამ სეზონში და მეოთხე კარიერაში. მან 438 ათასი ევრო და 1000 სარეიტინგო ქულა მიიღო...

მეორე ნახევარფინალში პეტრამ კვიტოვამ კიდევ უფრო დამაჯერებლად - 6:9 წუთში მოუგო ჩინელ ნა ლის.

რაც შეეხება გუშინდელ ფინალს, აზარენკამ ვერ შეძლო საჩემპიონო დუბლის შესრულება. მან კვიტოვასთან შეხვედრამდე რამდენიმე საათით ადრე წყვილებში იმარჯვა...

ფინალი საათსა და 42 წუთს გაგრძელდა. ორივე ჩოგბურთელს საკმაოდ ბევრი ბრეიკ-პონტი ჰქონდა...

ვიტორია აზარენკა (ბლრ, 4)-ლუსი საფაროვა (ჩეხ) 6:3, 3:6, 6:2; ნა ლი (ჩინ, 6)-პეტრინი მატეკი (ამშ) 6:4, 3:6, 6:4; პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 16)-ლომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ) 3:6, 6:3, 7:5; იულია გიორგესი (გერ)-ანასტასია პავლუჩენკოვა (რუს) 6:4, 6:2.

ვიტორია აზარენკა (ბლრ, 4)-იულია გიორგესი (გერ) 6:4, 6:2; პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 16)-ნა ლი (ჩინ, 6) 6:3, 6:1.

პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 16)-ვიტორია აზარენკა (ბლრ, 4) 7:6(3), 6:4.

გვერდი მომზადათ გათვალისწინებული



ჩემპიონი და ფინალისტი




კრივი

ფორმულა 1. თურქეთის გრანპრი

ფაბალის ოთხიდან სამი!



მიხაელ ლუისი და ჯეინსონ ბატონი



ნილსენის ნოკაუტი

სებასტიან ფაბალი („რედ ბული“) ოთხი შესაძლებლიდან მესამე ეტაპის მოგება მოახერხა და განიმტკიცა ლიდერობა საერთო ჩათვლაში.

გერმანელმა შაბათს მეოთხედ მოიგო პოული და არ გასჭირვებია სტარტზე ლიდერობის შენარჩუნება, მისმა თანაგუნდელმა მარკ უებერმა კი მეორე პოზიცია დაკარგა - წინ გაუშვა ნიკო როსბერგი („მერსედესი“).

ავსტრალიელის გავლა სცადა ლუისი ჰემილტონმა („მაკლარენი“), მაგრამ შეცდომა დაუშვა და თავად აღმოჩნდა ფერნანდო ალონსოს („ფერარი“) და ჯეინსონ ბატონის („მაკლარენი“) უკან.

დებიუტში მცირე შეჯახება მოხდა მიხაელ შუმახერსა („მერსედესი“) და ვიტალი პეტროვს („ლოტუს-რენო“) შორის. რუსმა მე-12 მოსახვევში გასწვრივ სცადა, მაგრამ გერმანელის ბოლდს შეეხო. მიხაელს ბოქსებში შესვლამ მოუწია, პეტროვმა კი ფელიპე მასა („ფერარი“) გაატარა და მერვე პოზიცია თანაგუნდელ ნიკ ჰაიდფელდთან ბრძოლაში შეინარჩუნა.

ლიდერებს შორისაც საინტერესო ბრძოლა მიდოდა - მოძრავი უკანა ანტიფრთის წყალობით უებერმა უპრობლემოდ გაუსწრო როსბერგს და მეორე პოზიცია დაიბრუნა. სულ მალე „მერსედესის“ პილოტმა ალონსოც გაატარა. იგივე ანტიფრთის წყალობით ჰემილტონმა ბატონს გაუსწრო, თუმცა შემდეგ ჯეინსონმა მოულოდნელად იოლად დაიბრუნა დაკარგული პოზიცია.

სანამ „მაკლარენის“ პილოტები ერთმანეთს ებრძოდნენ, მათ მასა წამოეპარა და ჰემილტონის გასწვრივ შეძლო, რის შემდეგაც ორივენი ბოქსებში გაემართნენ პირველ დაგეგმილ პიტ-სტოპზე. „მაკლარენის“ მექანიკოსებმა უკეთ იმუშავეს და ლუისის ფელიპეზე წინ აღმოჩნდა. ბოქსებში ლიდერთა სხვა წარმომადგენლებიც შევიდნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ უმეტესობამ ოთხი პიტ-სტოპის ტაქტიკა აირჩია.

პირველი გაჩერების შემდეგ ფეტელმა ლიდერობა შეინარჩუნა, უებერი მეორე იყო, ალონსო - მესამე. როსბერგი კი დიდი ხანი აყოვნებდა ჰემილტონს, მაგრამ პიტ-სტოპის შემდეგ ლუისმა ნიკო უკან ჩამოიტოვა. ახლა, როსბერგს მასასგან უნებდა თავის დაცვა. ფელიპე კარგა ხანი ვერაფერს უხერხებდა „მერსედესს“. ეს დუეტი ჩამორჩა ჰემილტონს და თან ბატონს მისცა დანევის საშუალება, რომელმაც ბევრი დაკარგა გვიანი პირველი პიტ-სტოპის გამო. მასა გამოცოცხლდა, აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა და საბოლოოდ, როსბერგმა ორივე წინ გაუშვა.

მეორე პიტ-სტოპის წინ ბატონმა გაუსწრო მასას, მაგრამ ბოქსებში უფრო ადრე შესულმა პრაზილიელმა პოზიცია დაიბრუნა. წინ კი ძალიან მოუმატა ტემპს ალონსო - ის მაქსიმალურად მიუახლოვდა უებერს, უკანა ანტიფრთა ამუშავა და აჯობა ავსტრალიელს მეორე პოზიციისთვის ბრძოლაში. ფეტელი კი კომფორტული უპირატესობით ლიდერობდა - სებასტიანი ალონსოს დაახლოებით 10 წამს უგებდა, თავის მხრივ, მეოთხე ადგილზე მყოფი ჰემილტონი ფერნანდოს 15 წამით ჩამორჩებოდა.

მესამე პიტ-სტოპის ტალღა როსბერგმა გახსნა და ბოქსებში ადრე შესული გაუსწრო პეტროვს, მასასა და ბატონს. საბურავების შეცვლისას პრობლემები შეექმნა ჰემილტონს - „მაკლარენის“ მექანიკოსებმა დიდი ხანი ვერაფერი მოუხერხეს წინა მარჯვენა საბურავს. ინგლისელისთვის საბედნიეროდ, პრობლემა მოგვარდა და ლუისი კვლავ მეოთხე პოზიციაზე დაბრუნდა.

„მერსედესი“ მიხვდა, რომ ბოქსებში ნაადრევი შესვლა მოგებინა იყო, ამიტომაც როსბერგს მეოთხე პიტ-სტოპზე უხმო. გერმანელს მიყენენ უებერი, ალონსო, ჰემილტონი, მასა და ლიდერი ფეტელი. მხოლოდ ბატონი დარჩა ტრასაზე - ბრიტანელმა სამი პიტ-სტოპის ტაქტიკა აირჩია, თუმცა ამას დიდი სარგებლობა არ მოუტანია.

ფინიშამდე 10 წრით ადრე ასეთი სიტუაცია იყო: ფეტელი დამაჯერებლად უსწრებდა ალონსოს, რომელსაც, თავის მხრივ, უებერი ეწეოდა, მეოთხეადგილოსან ბატონს ჰემილ-

ტონი და როსბერგი მიუახლოვდნენ, მათ უკან კი... სებასტიან ბუემი („ტორო როსო“) იმყოფებოდა. შვეიცარიელი ბატონის მსგავსად სამ პიტ-სტოპზე მიდიოდა. „ტორო როსოს“ უკან „ლოტუს-რენოს“ დუეტი იყო, ათეულის ბოლოს კი კამუი კო-ბაიში („ზაუბერი“) მიდიოდა.

ამ ვეგფიდან ამოვარდა ფელიპე მასა. პრაზილიელს პრობლემები ჯერ კიდევ მესამე პიტ-სტოპის შემდეგ დაეწყო, როცა გაუხურებელი ახალი საბურავებით შეცდომა დაუშვა და რამდენიმე პოზიცია დაკარგა. მეოთხე პიტ-სტოპზე შეფერხებამ კი ბრაზილიელი ქულათა ზონის მიღმა დატოვა და ის რბოლის მეორე უდბლო მონაწილეს - მიხაელ შუმახერს შეუერთდა.

დავუბრუნდეთ ლიდერებს. რბოლის ბოლო ნაწილში უსწრავს ტემპი აკრიფა უებერის „რედ ბული“ - ავსტრალიელი ჯერ დაენია, შემდეგ კი უპრობლემოდ აღმოჩნდა ალონსოს წინ. ეს იყო მეორე ადგილისთვის ბრძოლა. ფეტელს ეს ბრძოლა ნაკლებად აღეგებდა. გერმანელი მშვიდად მივიდა ფინიშთან და სეზონში მესამე გამარჯვება იხემა.

თურქეთის გრან-პრი ძალიან საინტერესო გამოვიდა - ბევრი გასწრებითა და პიტ-სტოპებით, აგრეთვე ბოლიდებს შორის კონტაქტებით. მხოლოდ ერთი ადამიანისთვის იყო ეს რბოლა მოსაწყენი - სებასტიან ფეტელი დღეს კვლავ უკონკურენტო გახლდათ.

Table with 2 columns: Rank, Driver Name, and Points. Title: თურქეთის გრან-პრი. IV ეტაპი. საბაზოლი (58 წრე, 309,396 კმ)

Table with 2 columns: Rank, Driver Name, and Points. Title: სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) - 93 (3 მოგება); 2. ლუისი ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 59 (1); 3. მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) - 55; 4. ჯეინსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 46; 5. ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია) - 41; 6. ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) - 24; 7. ნიკ ჰაიდფელი (ლოტუს-რენო, გერმანია) - 21; 8. ვიტალი პეტროვი (ლოტუს-რენო, რუსეთი) - 21; 9. ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია) - 20; 10. ვამუი კობაიში (ზაუბერი, იაპონია) - 8; 11. მიხაელ შუმახერი (მერსედესი, გერმანია) - 6; 12. სებასტიან ბუემი (ტორო როსო, შვეიცარია) - 6; 13. ადრიან სუტილი (ფორს ინდია, გერმანია) - 2; 14. პოლ დი რესტა (ფორს ინდია, ბრიტანეთი) - 2.

Table with 2 columns: Rank, Driver Name, and Points. Title: ქონსტანტინოვსკი (ფორს ინდია, რუსეთი) - 14 წრე

საპირით ჩათვლა

1. რედ ბული - 148 ქულა; 2. მაკლარენი - 105; 3. ფერარი - 65; 4. ლოტუს-რენო - 42; 5. მერსედესი - 26; 6. ზაუბერი - 8; 7. ტორო როსო - 6; 8. ფორს ინდია - 4.

გვერდი მომზავდა გაა თვალაპიპილია

მენი პაკიარო ჟულაბით მოიგო, პოლიფილდმა ნოკაუტით

ფილიპინელმა მენი პაკიარომ შეინარჩუნა მეორე ნახევრადსაშუალო წონაში WBO-ის ტიტული - მსოფლიოს საუკეთესო მოკრივემ მსაჯების ერთსულ ლოგანი ბრძოლებში დაამარცხა ამერიკელი შეინ მოზლი.

ზანას. მაგრამ მოზლი მყარად იდგა ფეხზე და ერთ-ერთ ბოლო რაუნდში ნოკდაუნშიც (!) კი გაუშვა ფილიპინელი. მსაჯმა წამების ათვლა დაიწყო, მაგრამ აპკარად ჩანდა, რომ პაკიაროს უბრალოდ ფეხი დაუცდა.



ფეტელმა შამპანური დაიმსახურა